



„მედია სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნებისთვის“

მეორე შუალედური ანგარიში

2012 წლის ივლისი

(მონიტორინგის პერიოდი: 23 ივლისი - 5 აგვისტო)

*შედგენილია „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ და „მემო 98“-ის მიერ
ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით*



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

შინაარსი

1. პროექტის მიმოხილვა	3
2. ამოცანები	4
3. მონიტორინგის მიზნით განხორციელებული შერჩევა.....	4
4. მეთოდოლოგია.....	6
5. გამოკვეთილი ტენდენციები (მიგნებები).....	8
5.1. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი.....	8
5.2. კერძო ნაციონალური მაუწყებლები	9
5.2.1. ტელეკომპანია "რუსთავი 2".....	9
5.2.2. ტელეკომპანია "იმედი"	10
5.2.3. ტელეკომპანია "რეალ ტვ"	11
5.2.4. ტელეკომპანია "მაესტრო"	12
5.2.5. ტელეკომპანია "მეცხრე არხი"	14
5.2.6. ტელეკომპანია "კავკასია"	16
5.3. რეგიონული ტელეკომპანიები	17
5.3.1. ტელეკომპანია "აჭარა"	17
5.3.2. ტელეკომპანია "25-ე არხი"	18
5.3.3. ტელეკომპანია "რიონი"	18
5.3.4. ტელეკომპანია "მეგა ტვ"	19
6. დასკვნები და რეკომენდაციები.....	20

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

1. პროექტის მიმოხილვა

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით ახორციელებს წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის პროგრამას საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე. ქარტიის მონიტორთა 6-კაციანი ჯგუფისთვის საწყისი ტრენინგი გამართა სლოვაკურმა ორგანიზაცია „მემო 98“-მა. ეს ორგანიზაცია უზრუნველყოფს მენტორობას. მონიტორინგის მიზანია თერთმეტი სატელევიზიო არხის მუშაობის ანალიზი. მედიამონიტორინგის კვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნება მონიტორინგის სამ, ყოვლისმომცველ ანგარიშში. ეს ანგარიშები გავრცელდება მედიაში, სამოქალაქო საზოგადოებაში, პოლიტიკურ პარტიებსა და საერთაშორისო საზოგადოებაში.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მონიტორინგის გუნდმა 2012 წლის 1 ივლისს დაიწყო მედიამონიტორინგის სამთვიანი პროგრამის განხორციელება. მონიტორინგის მიზანია მედიის შინაარსის თვისებრივი ანალიზით დეტალურად გამოავლინოს, თუ როგორ ხდება სხვადასხვა თემის გადმოცემა. მონიტორინგი ისეა დაგეგმილი, რომ სიღრმისეულად ასახოს მედიაში პლურალიზმისა და მრავალფეროვნების მდგომარეობა. მთავარი აქცენტი არჩევნების გაშუქებაზე კეთდება. ამ პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია თითქმის ორი ათეული წელია, რაც აპრობირებულია ევროპის ბევრ ქვეყანაში. ამასთანავე, მთელი ამ ხნის განმავლობაში აღნიშნული მეთოდოლოგია მუდმივად უმჯობესდებოდა და იხვეწებოდა. პროექტის ხანგრძლივობა და რეგულარულობა შესაძლებლობას იძლევა, რომ პერიოდულად შევადაროთ სატელევიზიო არხების ეთერის შინაარსი.

ქარტია მონიტორინგის საბოლოო შედეგებს „მემოსთან“ მჭიდრო თანამშრომლობით მოამზადებს, მასში შეაფასებს საქართველოში 11 სატელევიზიო არხის წინასაარჩევნო ეთერის თავისებურებებს და წარმოადგენს დეტალურ ანალიზს. ასეთი მიდგომა შექმნის უფრო სიღრმისეულ სურათს. საბოლოო შედეგებში მოცემული იქნება მნიშვნელოვანი დამატებითი კომენტარები, რომლებიც კონტენტის ანალიზს უკავშირდება და რომლებშიც შეფასებულია ბალანსი, სამართლიანობა, ობიექტურობა, სიზუსტე, აქტუალობა და გაშუქების მასშტაბი. გამოვლენილ ტენდენციებს სისტემატურად აღწერთ: ერთი მხრივ, მიუკერძოებლად ავსახავთ მედიის შინაარსობრივ მხარეს, მეორე მხრივ, ეს სასარგებლო იქნება მედიის დახმარების სხვა პროგრამებისთვის. შინაარსზე დაფუძნებული ანალიზის მეშვეობით მონიტორები განსაზღვრავენ, უმჯობესდება თუ არა მედიის საქმიანობა პროექტის განხორციელების პროცესში; გამოავლენენ სიცრუეს, დარღვევებს, დაუბალანსებელ გაშუქებას, მანიპულაციას, უსამართლობას, უზუსტობას, მიკერძოებას ან სხვა მნიშვნელოვან უარყოფით ტენდენციებს.

ქარტია ამჟამად მონიტორინგის შედეგებს ამუშავებს მათი ვებგვერდზე განთავსების მიზნით.¹ ვებგვერდზე წარმოდგენილია შესაბამისი ინფორმაცია პროექტის შესახებ, მეთოდოლოგიის აღწერა, ანგარიშები და მონიტორინგის სხვა მონაცემები, დღის წესრიგი (საარჩევნო ღონისძიებების კალენდარი) და არჩევნებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაცია. ასევე მოცემულია ბმულები, საიდანაც შეიძლება გადასვლა შესაბამისი დაწესებულებებისა და პოლიტიკური პარტიების

¹ www.qartia.org

ვებ-გვერდებზე. ამას გარდა არის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, მედიისა და პროფესიული ასოციაციების მიერ დაწერილი სტატიები (სვეტები) თემაზე „მედია და არჩევნები“.

მონიტორინგის შვიდი კვირის განმავლობაში ურნალისტური ეთიკის ქარტია და „მემო 98“ ერთობლივად შემუშავებული მეთოდოლოგიით თვისებრივად გაანალიზებენ მედიის მიერ გაშუქებულ მასალებს. ასევე წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში მოვანყობთ კვლევის მთავარი მიგნებების პერიოდულ საჯარო პრეზენტაციებსაც. საბოლოო ანგარიშის პრეზენტაცია, რომელშიც მოცემული იქნება როგორც რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის ყველა ასპექტი, ასევე დასკვნები და რეკომენდაციები, არჩევნების შემდეგ არის დაგეგმილი.

საქართველოს ურნალისტური ეთიკის ქარტია დამოუკიდებელი, არამომგებიანი ორგანიზაციაა. იგი პროფესიული ქსელია. ქარტია 2009 წლის დეკემბერში დაარსდა და დღეს მას 213 წევრი-ურნალისტი ჰყავს. ქარტიის მიზანია პროფესიული სტანდარტების შემუშავება და საზოგადოების ნდობის ამაღლება მედიის მიმართ. საქართველოს ურნალისტური ეთიკის ქარტიას 9 არჩეული პირისგან შემდგარი საბჭო მართავს. თავისი მიზნების მისაღწევად ქარტია მუშაობს სხვადასხვა სფეროში, რომელთა შორისაა წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი.

„**მემო 98**“² საერთაშორისო დონეზე აღიარებული, დამოუკიდებელი და არამომგებიანი ორგანიზაციაა, რომელიც მედიამონიტორინგის ექსპერტებისაგან შედგება. აღნიშნულ ექსპერტებს 14-წლიანი გამოცდილება აქვთ შემდეგ სფეროებში: მედიამონიტორინგი, კვლევა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში მხარდაჭერა. „მემო 98“ ძირითადად აღიარებულია საარჩევნო პროცესის განმავლობაში მედიის ანალიზის და მონიტორინგის სფეროში. მათი ექსპერტები მონაწილეობდნენ 90-ზე მეტ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით და 100-ზე მეტი პროექტი განახორციელეს 35 ქვეყანაში მიმდინარე არჩევნებთან დაკავშირებით.

2. ამოცანები

პროექტის მთავარი ამოცანაა საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორია მედიის ქცევა წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში. ასევე მისი ამოცანაა, ხელი შეუწყოს დისკუსიას მედიის მიერ მოვლენების გაშუქების ობიექტურობის და ხარისხის შესახებ.

კონკრეტული ამოცანა: მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება მედიის ქცევის შესახებ საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

3. მონიტორინგის მიზნით განხორციელებული შერჩევა

შესაბამისი მედიის შერჩევის კრიტერიუმები დავადგინეთ იმის მიხედვით, თუ რა ზეგავლენას ახდენენ ისინი პოტენციურ ამომრჩევლებზე. მედიის შერჩევისთვის ასევე გამოვიყენეთ დამატებითი კრიტერიუმები: მფლობელობის სტრუქტურა (კერძო/სახელმწიფო მფლობელობაში არსებული მედია, კომერციული/საზოგადოებრივი მუწყებლები) და გეოგრაფიული განაწილება (ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი).

² www.memo98.sk

წინამდებარე ანგარიში პირველია, რომელიც საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ და „მემო 98“-მა მოამზადეს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით განხორციელებული ერთობლივი პროექტის „მედია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი ოფიციალური კამპანიის დაწყებამდე პერიოდში (1-15 ივლისი) განხორციელდა შემდეგ მედია საშუალებებში:

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, კავკასია, მაესტრო, მე-9 არხი, რეალ ტვ, რიონი ტვ და მეგა ტვ (ქუთაისი), აჭარის ტვ და 25-ე არხი (აჭარა).

მედია მონიტორინგის ყურადღების ცენტრში იყო საუკეთესო საეთერო დროს (ე.წ. “პრაიმ ტაიმის”) (19:00-24:00) დროს გაშვებული ყველა პროგრამა. გადაცემების ტიპის მიხედვით მონიტორინგის გუნდმა შეათასა:

ა) ახალი ამბების გამოშვებები;

ბ) პოლიტიკური თოქშოუები;

გ) იუმორისტული გადაცემები.

ახალი ამბების გამოშვებები

- რამდენად შესაბამისია თემა და რამდენად აქტუალურია ახალი ამბები;
- სიზუსტე (ფაქტების საფუძველზე ჩატარდა კვლევა, ასევე მომზადდა გრაფიკები და დიაგრამები);
- ფაქტები და მათი გამიჯვნა მოსაზრებებისგან;
- წყაროებთან მუშაობა;
- ბალანსი;
- პოლიტიკური ახალი ამბების გაშუქების ტონი;
- სიუჟეტის ზოგადი შეფასება;
- გაშუქების ტექნიკური ასპექტები (ვიზუალური და აუდიოხარისხი).

პოლიტიკური თოქ-შოუები

- თემის შერჩევა აქტუალობის მიხედვით;
- სტუმრების შერჩევა თემის მიხედვით;
- ჟურნალისტის მომზადება;
- დაბალანსებული გაშუქება ჟურნალისტის მიერ;
- საერთო შთაბეჭდილება თოქშოუს შესახებ.

იუმორისტული პროგრამები

- თემის შერჩევა აქტუალობის მიხედვით;

- წამყვანის პროფესიონალიზმი და მიუკერძოებლობა;
- სიძულვილის ენა;
- ზოგადი შთაბეჭდილება წამყვანის შესახებ.

4. მეთოდოლოგია³

მონიტორინგის გუნდმა მედიის მონიტორინგისთვის საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისი თვისებრივი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები გამოიყენა. მეთოდოლოგია კონტენტზეა ორიენტირებული. მისი მეშვეობით მონიტორინგის აკვირდებიან, რამდენად დეტალურად და მრავალფეროვნად არიან წარმოდგენილი მედიის მიერ მომზადებულ სიუჟეტებში მონიტორინგისთვის შერჩეული სუბიექტები, როგორ უქდება თემები. მონიტორინგის შედეგებში მოცემულია დეტალური ანალიზი და შეფასება, თუ როგორია პოლიტიკური მრავალფეროვნების ამჟამინდელი დონე მედიის სიუჟეტებში. ეს სათანადო კონტექსტშია შემოწმებული.

თვისებრივი ანალიზი

თვისებრივი მეთოდოლოგია ყურადღებას ამახვილებს სიუჟეტების შინაარსზე. ამგვარად, მონიტორინგის გუნდი აქცენტს აკეთებს მედიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხსა და მრავალფეროვნებაზე, საბოლოო დასკვნებს აკეთებს მისი სტრუქტურის შესახებ (თემები და საკითხები), ასევე თითოეული მედიასაშუალების მიერ თემის გაშუქების ხარისხს აფასებს საერთო ინფორმაციული ღირებულების საფუძველზე.

თვისებრივ ანალიზში სუბიექტურობის რაიმე ელემენტის აღმოფხვრის მიზნით „მემო 98“ ხშირად ამოწმებს, თუ როგორ აკეთებენ მედიის ანალიზს ინდივიდუალური მონიტორინგები. იქ, სადაც კონკრეტული სიუჟეტის შეფასების მიმართ განსხვავებული აზრი არსებობს, საბოლოო გადანწყვეტილების მიღებამდე ამგვარ სიუჟეტს მონიტორინგის მთლიანი გუნდი (ან გუნდის ლიდერი) შეაფასებს ხოლმე.

თვისებრივი ანალიზისთვის მონიტორინგს მოეთხოვებათ, რომ შეაფასონ:

- კონკრეტული სიუჟეტების თანამიმდევრობა და თემების აქტუალობა;
- პოლიტიკური მრავალფეროვნების ხარისხი გაშუქებულ მასალაში;
- ჟურნალისტების ცოდნა და უნარი, თუ რამდენად შეუძლიათ მათ ფაქტებსა და ინფორმაციაზე მუშაობა;
- ავტორის შესაძლებლობა, რომ უზრუნველყოს აუდიტორიის ჩართულობა;

³ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ოთხი ორგანიზაცია (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, ინტერნისი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ინსტიტუტი (ISFED) და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)) ოქტომბრის არჩევნებამდე მედიის ყოვლისმომცველ რაოდენობრივ მონიტორინგს ატარებდა, „ქართვამ“ და „მემომ“ გადანწყვიტეს, რომ თავიანთი მონიტორინგი მედიის გაშუქების თვისებრივ ასპექტებზე ჩაეტარებინათ.

- ინტერვიუს ჩანწერისას არის თუ არა შეკითხვები სამართლიანი ან „დატვირთული“;
- რამდენად უწყობს ხელს ჟურნალისტის ენა, რომ აუდიტორიამ ადვილად აღიქვას თემა და მიმდინარე მოვლენები;
- ვიზუალიზაციის (კამერის რაკურსი, კადრი, ფოტომასალა, გრაფიკული გამოსახულება და სხვა) რა საშუალებებს და როგორ იყენებს მედიასაშუალება, რომ აუდიტორიამ მონიტორინგის სუბიექტები და განსახილველი თემები ადვილად აღიქვას;
- რამდენად ჩართულია ჟურნალისტი სიუჟეტში.

თვისებრივი ანალიზის შედეგები ქვემოთ მოცემული ხუთბალიანი სისტემის მიხედვით შეფასდა:

- ძალიან დაბალი ხარისხი- 1
- ცუდი, გარკვეული ნაკლოვანებებით- 2
- ტექნიკურად მისაღები ხარისხი- 3
- კარგი ხარისხი- 4
- მაღალპროფესიული ხარისხი- 5
- შეფასებას არ ექვემდებარება- ა/შ (არ შეესაბამება)

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ შეფასების ობიექტია მედიასაშუალებების და არა მონიტორინგის სუბიექტების ქცევა. მონიტორები განსაკუთრებით აქცევდნენ ყურადღებას, უქმნიდა თუ არა რომელიმე მედია საშუალება დადებით ან უარყოფით განწყობას მაყურებელს რომელიმე სუბიექტის ან თემის მიმართ. თუ, როგორ მოხდა მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება - დადებითად, უარყოფითად თუ ნეიტრალურად. შეფასების შკალა შემდეგი მიზნით გამოიყენება: დადებითი შეფასება ნიშნავს, რომ ახალ ამბებში მონიტორინგის კონკრეტული სუბიექტის გაშუქება კეთილგანწყობით მოხდა. ნეიტრალური შეფასება ნიშნავს, რომ გაშუქება მხოლოდ და მხოლოდ ფაქტობრივი იყო, რაიმე დადებითი თუ უარყოფითი კონოტაციის გარეშე. უარყოფითი შეფასება ნიშნავს, რომ სუბიექტი უარყოფითად, ან ძალიან უარყოფითად გააშუქეს. ამგვარ გაშუქებას სიუჟეტსა თუ რეპორტაჟში გამოყვანილი სუბიექტის შესახებ უარყოფითი კონოტაციები, ბრალდებები ან კრიტიკა ახლავს თან.

მონიტორინგის სუბიექტები:

- პრეზიდენტი
- მთავრობა (მთლიანად მთავრობის და ცალკეული მინისტრების ჩათვლით)
- ადგილობრივი თვითმმართველობა
- საარჩევნო ადმინისტრაცია (რაშიც შედის ცენტრალური საარჩევნო კომისია, საოლქო და უბნის საარჩევნო კომისიები, ასევე ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია)

➤ პოლიტიკური პარტიები⁴.

5. გამოკვეთილი ტენდენციები (მიგნებები)

5.1. საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხი“

ა) საინფორმაციო გამოშვებები

არხი სისტემატურად აშუქებდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებს. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა არხებთან შედარებით, ის მეტ ყურადღებას უთმობდა სოციალურ საკითხებს, ასევე, პარტიების წინასაარჩევნო აქტივობებს. ნიშანდობლივია, რომ „პირველი არხის“ საინფორმაციო პროგრამაში გადის სამი სპეციალური რუბრიკა - „საარჩევნო მოამბე“, „საარჩევნო ქრონიკა“ და „მომხმარებელთა უფლებები“. პირველი ორი რუბრიკა ეხება პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებსა და წინასაარჩევნო აქტივობებს, ხოლო მესამე რუბრიკა გვანვდის ინფორმაციას საქართველოს ბაზარზე არსებული საკვები და საყოფაცხოვრებო პროდუქციის შესახებ.

ბალანსის კარგი ხარისხი ახასიათებდა ზემოთ ნახსენებ წინასაარჩევნო რუბრიკებს. „მოამბე“ ყოველდღიურად უთმობდა ეთერს სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს. თუმცა, მონიტორინგის მეორე ეტაპზეც გამოვლინდა შემთხვევები, როცა განსაკუთრებულად დიდი დრო ეთმობოდა საქართველოს პრეზიდენტის აქტივობებს. კერძოდ, 23 ივლისს პრეზიდენტის შესახებ მომზადებული რეპორტაჟი 10:46 წუთს გაგრძელდა. ის ეხებოდა პრეზიდენტის კახეთში ვიზიტს. მიუხედავად იმისა, რომ რეპორტაჟს ერქვა „პრეზიდენტი და პატრიარქი კახეთში“, პატრიარქს მინიმალური ყურადღება დაეთმო. პრეზიდენტი დადებითი ტონით იყო წარმოდგენილი. სიუჟეტში ნაჩვენებია იყო შეხვედრა სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობასთან, ასევე ბავშვებთან შეხვედრაც, სადაც ბავშვები ეხუტებოდნენ პრეზიდენტს და ყვიროდნენ „მიშა!“ „მიშა!“.

წყაროთა ბალანსი დაცული იყო იმ რეპორტაჟებშიც რომლებიც ეხებოდა ცვლილებებს საარჩევნო კოდექსში, პარტიათა ქცევის წესებში, საარჩევნო რეგულაციებში და ა.შ. ასეთ რეპორტაჟებში, საკუთარი მოსაზრების გამოხატვის საშუალება ეძლეოდა აბსოლუტურად ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ პარტიას. თუმცა, გამონაკლისის სახით უნდა აღინიშნოს რეპორტაჟები რომლებიც ეხებოდა კახეთში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარებას - მათში ნაკლები იყო მოკვლევის ხარისხიც და წყაროთა ბალანსის დაცვაც, წყაროს სახით წარმოდგენილნი იყვნენ მხოლოდ ის მოქალაქეები რომლებიც თავის მადლიერებას გამოხატავდნენ ხელისუფლების მიმართ.

⁴ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება - რომელშიც შედის დემოკრატიული საქართველო, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, კონსერვატიული პარტია და მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს გზა, ახალი მემარჯვენეები, დემოკრატიული მოძრაობა - გაერთიანებული საქართველო, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ლეიბორისტული პარტია, აღორძინების დემოკრატიული კავშირი, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ევროპელი დემოკრატები, სახალხო კრება, ამომრჩეველთა ლიგა (მოქალაქეთა კავშირი), მწვანეთა პარტია, თეთრები (თემურ შაშიაშვილი) და დამოუკიდებელი კანდიდატები.

ბ) პოლიტიკური თოქ-შოუ

მონიტორინგის პერიოდში „პირველ არხზე“ თოქ-შოუს ტიპის ორი პროგრამა გადიოდა - „დიალოგი“ (დავით ჰაიჭაძე) და „საჯარო პოლიტიკა“ (ეკა მიშველაძე). განხილვის საგანი ძირითადად საზოგადოებისთვის მაღალი ინტერესის მქონე თემები იყო; განხილვებოდა როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური თემები. „მოამბეს“ ეთერში სტუმართა ჩართვის დროს უმეტეს შემთხვევებში საარჩევნო თემატიკაზე იყო საუბარი.

პირველი არხის“ თოქ-შოუებში სტუმრების შერჩევა განსახილველი თემატიკის შესაბამისად ხდებოდა. მოწვეულ სტუმართა ბალანსი სათანადოდ იყო დაცული. მონიტორინგის პერიოდში არ გამოვლენილა სტუმართა ცალმხრივად შერჩევის ფაქტი. გამონაკლისის სახით უნდა აღინიშნოს პირდაპირი ჩართვები „მოამბეში“, სადაც ბალანსი მიიღწეოდა გადაცემათა ციკლის მიხედვით.

წამყვანები ყოველთვის კარგად იყვნენ მომზადებული; სვამდნენ რელევანტურ შეკითხვებს და ძირითადად წარმატებით ახერხებდნენ დასმულ კითხვაზე პასუხის მოპოვებას. დროს თანაბრად და სამართლიანად ანაწილებდნენ სტუმრებს შორის.

5.2 კერძო ნაციონალური მაუწყებლები

5.2.1. ტელეკომპანია „რუსთავი 2“

ა) საინფორმაციო გამოშვებები

მეორე საანგარიშო პერიოდში მკვეთრად თვალშისაცემი გახდა სიუჟეტების კიდევ უფრო დაუბალანსებლად მომზადების ფაქტები. არხი ამ კრიტერიუმში მისაღებ ხარისხსაც ვერ აკმაყოფილებს. მნიშვნელოვანია, რომ უარყოფით ტონში ოპოზიციური კოალიციის „ქართული ოცნების“ და მისი ლიდერის საქმიანობა შუქდებოდა. ბიძინა ივანიშვილის მიერ საქართველოს ბიუჯეტში 80 მილიონი ლარის გადარიცხვასა და საერთაშორისო არბიტრაჟში საქართველოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანას ეძღვნებოდა 29 ივლისის 1,2,5 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებების პირველი ბლოკის სიუჟეტები. მნიშვნელოვანია, რომ ოპოზიციური ძალების მიმართ გამოთქმულ ბრალდებებზე ერთხელაც არ გაუშუქებიათ საპასუხო პოზიცია. „ქართული ოცნების“ შესახებ დაუბალანსებელი და უარყოფითი ტონით მასალების მომზადება კარგად ჩანს, როცა დავაკვირდებით „ნაციონალური მოძრაობის“ და ხელისუფლების საქმიანობის შესახებ მომზადებულ სიუჟეტებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხელისუფლების საქმიანობის ამსახველი სიუჟეტების ხანგრძლივობა და რიგითობა, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, ეს მასალები მე-4, მე-5 ან შემდგომი რიგის სიუჟეტად იყოს წარმოდგენილი. მათი ტონი არის ძალზე დადებითი, მოკვლევითი ხასიათი - ძალზე სუსტი. შესაბამისად, ტელეკომპანიის მაყურებელს მიეწოდება დაუბალანსებელი და მიუკერძოებელი ინფორმაცია ორი ძირითადი პოლიტიკური სუბიექტის შესახებ: ა) „ქართული ოცნება“ - მკვეთრად უარყოფითი და ბ) ხელისუფლება/ნაციონალური მოძრაობა - დადებითი.

მისაღებ ხარისხს ვერ აკმაყოფილებს ფაქტებისა და კომენტარების გამიჯვნა. აღნიშნულის მიზეზად შეიძლება მიჩნეულ იქნეს უურნალისტების მიკერძოებელი კომენტარები. მაგალითად, 5 აგვისტოს სიუჟეტს, რომელიც ეხებოდა ბიძინა ივანიშვილის მიერ საერთაშორისო არბიტრაჟში დავის

წამოწყებას,⁵ უურნალისტი ასრულებს შემდეგი კომენტარით: „შესაძლოა პირველივე სახელმწიფოს ბიუჯეტიდან საქართველოში დახარჯული მილიონების „ქართუ ბანკში“ გადარიცხვა იყოს“.

არხის მიერ მასალების მიკერძოებულად გაშუქებას ადასტურებს 28 ივლისის „კურიერში“ გამწვებული 3 სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა სვანეთში ხელისუფლებისა და პოლიტიკოსების ვიზიტებს: 1. ხელისუფლება, პოზიტიური ტონი - 4 წთ და 25 წმ. 2. ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, პოზიტიური ტონი - 34 წმ. 3. „ქართული ოცნება“, ნეგატიური ტონი - 48 წმ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია არხის დამოკიდებულება ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის აქტივობების გაშუქების მიმართ. ისინი, მმართველი პარტიის მსგავსად და სხვა ოპოზიციური ძალებისაგან განსხვავებით, მუდმივად დადებით ტონში არიან წარმოჩენილი. მაგალითად, 1 აგვისტოს მე-5 სიუჟეტად 4 წუთზე მეტი დრო დაეთმო გურჯაანში მათი აქტივობის გაშუქებას. ნიშანდობლივია, რომ ამ პარტიის საქმიანობის გაშუქება უტოლდება პრეზიდენტისა და მთავრობის საქმიანობის გაშუქებას.

ბ) იუმორისტული გადაცემები

საანგარიშო პერიოდში „ვანოს შოუ“ მხოლოდ ერთხელ გავიდა ეთერში, ხოლო გადაცემაში „თქვენი შოუ“ მცირე დრო დაეთმო პოლიტიკოსებზე ხუმრობას და უნდა ითქვას რომ ბალანსი დაცული იყო.

„ვანოს შოუში“ თემების შერჩევა იმდროინდელ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებას ესადაგება. წამყვანი მიკერძოებულია ხელისუფლების სასარგებლოდ და იყენებს ასეთ ფრაზებს: „საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქმის კაცი ვანო მერაბიშვილი“. „საქართველოს პრეზიდენტი - სიტყვის კაცი“. გადაცემაში მან ასევე პოზიტურად წარმოაჩინა გიორგი კარბელაშვილი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით იყრის კენჭს. ამ ფონზე მისი ხუმრობები ოპოზიციის მიმართ მკვეთად უარყოფითი განწყობის მატარებელია.

5.2.2 ტელეკომპანია „იმედი“

ა) საინფორმაციო გამოშვებები

„იმედი“ პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის აქტივობებს განსაკუთრებულად დიდ დროს უთმობს. არხის მიკერძოებულობას ადასტურებს ის გარემოება, რომ ამ სიუჟეტებს აქვთ პოზიტიური ტონი, ამასთანავე პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის საქმიანობისადმი მიძღვნილი სიუჟეტების ხანგრძლივობა მერყეობდა 3-დან 6 წუთამდე, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის - არანაკლებ 5 წუთისა და აღწევდა 14 წუთამდე.

ბალანსის დაუცველობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 2 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვება. ერთ-ერთი თემა იყო მაუწყებელთა სავალდებულო ტრანზიტი. სტუდიაში „მაესტროს“ პრეტენზიებზე საუბრობდა ნაციონალური მოძრაობის წევრი პავლე კუბლაშვილი, ხოლო „მაესტროს“ პოზიცია არავის წარმოუდგენია.

⁵ დავა ეხება ამომრჩევლის მოსყიდვის ბრალდებით ბიძინა ივანიშვილისათვის 100 მილიონ ლარზე მეტი ოდენობით დაჯარიმების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას.

საარჩევნო კამპანიის დაწყებასთან ერთად იმატა ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის პოლიტიკურ ტონში გაშუქების ტენდენციამ. ამ პარტიას მეტი ღრო ეთმობა სხვა ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ „ქართულ ოცნებას“ მკვეთრად უარყოფით ტონში აშუქებენ, სხვა დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებს – ნეიტრალურად.

ფაქტების სიზუსტით გადმოცემის ხარისხი უახლოვდება „კარგს“, რადგან როგორც წესი უურნალისტები არ ახდენდნენ მონოდებული ფაქტების ინტერპრეტირებას. თუმცა, სუსტად უნდა შეფასდეს მასალების მოკვლევითი ხასიათი.

უურნალისტები პერიოდულად თავს არ იკავებენ კომენტარებისაგან. მაგალითად, 1 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებაში უურნალისტმა ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა ასე შეაფასა: „წარუმატებელი პოლიტიკური კამპანიის დახარჯული ფული - პოლიტიკური სპეკულაცია 80 მილიონი.“

როგორც წესი, სიუჟეტებს თემის აქტუალობის მიხედვით ალაგებდნენ. უმეტესწილად, პირველი სიუჟეტები ეთმობოდა პრეზიდენტსა და მთავრობას, შემდეგ - სხვა პოლიტიკურ ძალებს.

5.2.3. ტელეკომპანია „რეალ ტვ“

ა) საინფორმაციო გამოშვებები

თემის აქტუალობისა და სიახლის ხარისხის მიხედვით ტელეკომპანია აკმაყოფილებს მისაღებ ხარისხს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი სიუჟეტები ნაკლებად არის გაჯერებული ფაქტებითა და მოკვლევითი მასალებით. თუ ასეთი სიუჟეტები მომზადდა, ისინი ძირითადად მიმართულია „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგოდ. ხშირად რთულად დაადგენდა მაყურებელი, იყო თუ არა ინფორმაცია მოკვლეული, თუ ეს უურნალისტის მიერ შეთხზული ამბავი იყო. „ქართული ოცნების“ შესახებ სიუჟეტების მომზადებისას არხი ხშირად ეყრდნობოდა „კულუარებში“ გავრცელებულ ინფორმაციას, რომელსაც ხშირად ერთი და იგივე ექსპერტები ადასტურებდნენ.⁶

საინფორმაციო გამოშვებების ძირითადი თემები იყო: კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისადმი ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილი მზრუნველობა; საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრები მოსახლეობასთან და „ქართული ოცნება“, როგორც ცალკე აღებული პოლიტიკური სიუბიექტი.

არხის დაბალანსების ხარისხი არის სუსტი, რადგან უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ დადებითი კუთხით არის წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობა და განსაკუთრებით პრემიერ-მინისტრი. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს არა მხოლოდ შინაარსობრივი ანალიზი, არამედ სიუჟეტების ხანგრძლივობა: მათი მეტრაჟი არის არანაკლებ 3 წუთისა და აღწევს 8-10 წუთამდეც კი.

⁶უმეტესად ილიას უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

შინაარსობივი დაუბალანსებლობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პრეზიდენტის ვიზიტების გაშუქება კახეთში. სიუჟეტში ყოველთვის ნაჩვენებია იყო კმაყოფილი მოსახლეობის კომენტარები.

დადებითი ტონით ტელეკომპანია აშუქებდა ორ პოლიტიკურ პარტიას „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“. ქდმ-სადმი დადებითი ტონი ყოველდღიურად მზარდ ხასიათს ატარებდა. კერძოდ, ქდმ ხშირად გვევლინებოდა, სხვადასხვა ოპოზიციური პარტიისაგან განსხვავებით, „დომინანტ“ პარტიად. მაგალითად: 3 ივლისი - ლეიბორისტებმა და ქრისტიან-დემოკრატებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეიტანეს განაცხადი არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. 2,47 წუთიან სიუჟეტში ლეიბორისტებს გამოეყო ნახევარი წუთი, ხოლო ქდმ-ს კი - წუთნახევარი.

„ქართული ოცნების“ უარყოფით ტონში გაშუქების მაგალითია 30 ივნისის გადაცემა: 15 სიუჟეტიდან, 10 სიუჟეტი მიეძღვნა „ქართულ ოცნებას“ და ათივე უარყოფითი ტონის მატარებელი იყო. სხვა პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია ნეიტრალური ტონი.

გამოვლინდა ფაქტისა და კომენტარების გამიჯვნის პრობლემა. კერძოდ, 25 ივლისის გადაცემაში. სიუჟეტი მიეძღვნა ბიძინა ივანიშვილის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში 80 მილიონი ლარის ჯარიმის ჩარიცხვას, იმ მოტივით, რომ ხელისუფლებას გასჩენოდა თავისუფალი თანხა დაზარალებულების დასახმარებლად. ჯარიმის გადახდას ფაქტობრივად მოყვა „ბანკი ქართუს“ ქონებაზე ყადაღის მოხსნა. აღნიშნული ფაქტი უურნალისტმა ასე შეაფასა „ეფსპერტები ამბობენ, რომ ორი კურდღელი დაიჭირა: ბანკი გამოისყიდა, რათა თავისი ბნელი საქმეები ეკეთებინა და პიარი გაიკეთა“.

არხის საქმიანობის საერთო შთაბეჭდილება ვერ აღწევს მისაღებ ხაარისხს, რადგან სიუჟეტები ძირითადად არის დაუბალანსებელი, უურნალისტები გამოირჩევიან სუბიექტური და დაუსაბუთებელი კომენტარებით.

5.2.4 ტელეკომპანია „მესტრო“

ა) საინფორმაციო გადაცემები:

საინფორმაციო გადაცემები არ ხასიათდება უხეში დარღვევებით, რედაქცია ახერხებს ოპერატიულად, მრავალმხრივ და დაბალანსებულად გააშუქოს, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მიმდინარე მოვლენები. თუმცა, შეიმჩნევა თემატური მრავალფეროვნების პრობლემა: რედაქციისთვის პრიორიტეტულია პოლიტიკისა და მედიის გაშუქება.

რეპორტაჟები, დიდწილად მოკვლევითი ხასიათისაა, გამონაკლისს წარმოადგენს „ქართული ოცნების“ გარდა სხვა პოლიტიკური პარტიების (ქრისტიან-დემოკრატების, ახლების, ნაციონალური მოძრაობის) წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქება, რასაც, ქართული ოცნების წინასაარჩევნო შეხვედრებისგან განსხვავებით მცირე საეთერო დრო ეთმობა და ძირითადად კადრ-სინქრონების სახითაა წარმოდგენილი.

უურნალისტები ცდილობენ „მეორე მხარისგან“ კომენტარის მიღებას, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში „მეორე მხარის“ სახით ჩანერილი რესპონდენტი არაადეკვატურადაა შერჩეული. გამონაკლისის სახით, მაგრამ გამოვლინდა ბალანსის პრობლემაც. მაგალითად:

23 ივლისის დიდი დრო დაეთმო კახეთში „ქართული ოცნებისა“ და მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერებს შორის დაპირისპირებას. მთელი სიუჟეტის მანძილზე უურნალისტი ცდილობდა,

დაემტკიცებინა, რომ ქართული ოცნების მხარდამჭერი მამაკაცი პროვოკაციას წამოეგო. ნაჩვენებ კადრებში ჩანდა, რომ პრეზიდენტის მხარდამჭერ ქალბატონს ამ მამაკაცმა სახე მოუგრიხა. ამ უესტს აღნიშნული სიუჟეტის რესპონდენტები „სახეზე ხელის მიღებას“ უწოდებდნენ. მასალის ყველა წყარო მხოლოდ ერთი მხარის პოზიციას წარმოადგენდა და ცდილობდა პროვოკატორად ქალბატონი წარმოეჩინა.

წყაროთა იდენტიფიცირება კარგ ხარისხს უახლოვდება. უმეტესად გამოიყენება საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ს მასალები. დაკვირვებამ აჩვენა, რომ მის მიმართ რედაქციას აქვს განსაკუთრებული ნდობა. ტელეკომპანია გამოირჩევა **წყაროთა მრავალფეროვნებითაც**, რომლებიც გამოხატავენ განსხვავებულ მოსაზრებებს.

ფაქტებისა და შეფასებების გამიჯვნის ხარისხი უახლოვდება კარგს, თუმცა, ადგილი აქვს წამყვანის მხრიდან მიკერძოებულ შეფასებებს. მაგალითად, 30 ივლისს წამყვანმა უარყო საკუთარი კორეპონდენტის მიერ პირდაპირ ჩართვაში მონაწილეობის ცნობა, რომ გორთან მომხდარ ავტოავარიაში პრეზიდენტის ესკორტის მანქანის მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, წამყვანმა ჩართვამდე და ჩართვის შემდეგ შეგვახსენა, რომ გორში მსხვერპლით დასრულებულ ავტოავარიაში პრეზიდენტის ესკორტის მანქანა ფიგურირებდა.

თემატური მრავალფეროვნების პრობლემა, გავლენას ახდენს საინფორმაციო გამოშვებების სტრუქტურაზეც, „ახალი ამბების“ მთავარი ბლოკების პრიორიტეტული თემები ძირითადად მედიასთან, კონკრეტულად კი უშუალოდ „მესტროსთან“ და „ქართული ოცნებასთან“ დაკავშირებული პრობლემების გაშუქებაა, რასაც სხვა არანაკლებ, თუ მეტად არა მნიშვნელოვანი თემები ქვედა ბლოკებში გადააქვს.

GNS-ის მიერ მომზადებული „კვირის რეპორტაჟი“ გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით, თუმცა, მისთვის დამახასიათებელია ხელისუფლების საქმიანობის უარყოფით კონტექსტში წარმოჩენა. ასე მაგალითად „კვირის რეპორტაჟი“ აშუქებს სხვადასხვა სოფლის სოციალურ პრობლემებს, თუმცა ეს ის სოფლებია, სადაც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა, ან პრემიერ-მინისტრმა წინასაარჩევნო შეხვედრები უკვე გამართა. რედაქცია აჩვენებს შეხვედრებს მიღმა, რა პრობლემები დარჩა სოფლებში. მიუხედავად იმისა, რომ რეპორტაჟები სწორედ ხელისუფლების კრიტიკასა და მხილებას ისახავს მიზნად, მათ არ აკლია ფაქტობრივი არგუმენტირება, ასევე ყოველთვის აქვს ადგილი მეორე მხარის ჩანერის მცდელობას, პრობლემა მათი მონაწილეობის ფორმაშია. მასალის ავტორები ვიზუალური ეფექტებით ცდილობენ უარყოფითი ემოციების გაძლიერებას მაგალითად, მუსიკალური ფონი, რომელიც ყოველთვის მძიმეა ბრალდებული მხარეების ჩვენებისას (განსაკუთრებით აღსანიშნავია კაპიტან ურუტაძის ჩვენება 28 ივლისის გამოშვებაში) და სენტიმენტალური დადებითი მელოდიების „მსხვერპლის“ (ძირითადად მოსახლეობის) ჩვენებისას. ასევე თვალმისაცემია ვიზუალური ეფექტებით ტენდენციის გამჟღავნება - სიუჟეტებში „ბრალდებული“ მხარე ხშირად შავ-თეთრ, მუქ ტონალობაშია წარმოჩენილი. ასევე ხშირია „ბრალდებული“ მხარის ფოტოებით ჩვენებაც, რაც სიუჟეტებს სამარცხვინო დაფას ამსგავსებს.

სტუდია GNS-ისგან განსხვავებით მსგავსი პრობლემები არ იჩენს თავს **სტუდია მონიტორის**⁷ საგამოძიებო ფილმში „მეტი კომფორტი ხელისუფლებას“.

⁷ GNS და სტუდია მონიტორი არის დამოუკიდებელი პირები, რომლებიც მასალებს დამოუკიდებლად ამზადებენ და აწვდიან ტელეკომპანიას.

ბ) პოლიტიკური ტოქ-შოუები

გადაცემა „სუბიექტური აზრი“ კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო აგიტაციას აწარმოებდა 5 დღის განმავლობაში. კერძოდ, თანაწამყვანი იყო კოალიციის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თეა წულუკიანი. მნიშვნელოვანია, რომ გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე „მეორე მხარეს“ არ ეძლეოდა თეა წულუკიანის მოსაზრებებზე პასუხის გაცემის შესახებლობა.

გადაცემა „არგუმენტები“ გამოირჩევა მოწვეულ სტუმართა მრავალფეროვნებითა და შერჩეული თემის აქტუალობით. თუმცა, იყო შემთხვევა, როცა თემა არ იყო აქტუალური, ასევე, წამყვანი ვერ ახერხებდა მოკლე და გასაგები კითხვების ფორმულირებას. მაგალითად, 2 აგვისტოს გადაცემა ეძღვნებოდა არჩევნების 1 ოქტომბერს დანიშვნას და წამყვანმა ძალზე გრძელი შეკითხვა დასვა პოლიტიკური პარტიებისათვის წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების სირთულეებზე აგვისტოს პერიოდში, რადგან მოსახლეობა გასულია ქალაქიდან. ამ გაურკვეველ შეკითხვას მოყვა რესპონდენტის კონტრშეკითხვა: „მართო ოპოზიციისთვის არ იქნებიან ისინი ადგილზე?!“. პასუხმა წამყვანი დააბნია, რასაც თეა სიტყვას მხრიდან შემდეგი კითხვა მოყვა - „მოდით, მე გეკითხებით, ეს მისაღები არგუმენტია თუ არა? ხელისუფლებას სამაგიეროდ სხვა რაღაცის იმედი აქვს, ამაზე ცალკე შეიძლება ვისაუბროთ რისი იმედი შეიძლება ქონდეს ხელისუფლებას“...

აღსანიშნავია, რომ ამ გადაცემის ორივე სტუმარი, განსხვავებული ხედვების მიუხედავად მიიჩნევა, რომ თემა არ იყო აქტუალური და არ ღირდა მასზე დისკუსია.

რიგ გადაცემებში წამყვანი არ იყო სათანადოდ მომზადებული და პირდაპირ ეთერში თხოვდა პროდიუსერს ფაქტებისა და კადრების მოძიებას. უმეტესწილად წამყვანი რესპონდენტებს ტიტულების გარეშე წარადგენს, ტიტულები ხშირად არც ტიტრებში იწერება, რაც აუდიტორიას ხელს უშლის სტუმართა სათანადო აღქმაში.

გადაცემაში „პოლიტმეტრი“, თემების შერჩევა ხდება აქტუალობის მიხედვით, სტუმრები მოწვეულია დაბალანსებულად. თუმცა, გამოვლინდა აქტიურ რესპონდენტებთან დროის თანაბრად გადანაწილების პრობლემა. მაგალითად, 3 აგვისტოს გადაცემაში ირაკლი ბათიაშვილისა და გიგა ლიპარტელიანის სტუმრობისას⁸, წამყვანს მოუხდა ერთ-ერთი სტუმრის - ლიპარტელიანის ხმის გამორთვა, რომ საშუალება მიეცა მეორე რესპონდენტისთვის გამოეთქვა აზრი. ამასთან ამ გადაცემაში წამყვანის კითხვები გაცილებით კრიტიკული იყო გიგა ლიპარტელიანის მიმართ.

მიკერძოებული კომენტარის მაგალითად უნდა მოვიყვანოთ 3 აგვისტოს გადაცემა, რომლის თემა პოლიტიკური ნიშნით ადამიანთა გათავისუფლება იყო. წამყვანმა გადაცემა ასე დაიწყო: „პოლიტიკური ნიშნით სამსახურებიდან გათავისუფლება. უკვე კერძო სექტორშიც. უკვე ცნობილ პროფესიონალთა შორის: ნაციონალი ფრიდონ თოდუა ქართული ოცნების წევრ ნეიროქირურგს სამსახურიდან ითხოვს“. აღსანიშნავია, რომ გადაცემის დასასრულს ფეისბუქის გვერდზე შემოსული კომენტარებიც ძირითადად ხელისუფლებისადმი კრიტიკულია.

⁸ გადაცემის თემა იყო გიგა ლიპარტელიანის ავტორობით გამოცემული წიგნი ბიძინა ივანიშვილზე.

დაუბალანსებლობის პრობლემა გამოვლინდა ყოველკვირეულ გადაცემაში „ჩვენ“. საანგარიშო პერიოდში გავიდა ორი გადაცემა და ორივე შემთვევაში მონვეული იყო „ქართული ოცნების“ მომხრე პირები ვახტანგ ხმალაძე და ეკატერინე ხვედელიძე.⁹

გ) იუმორისტული გადაცემები

„აბები ვასიკო ოდიშვილისგან“ გამოირჩევა თემის აქტულობით, თუმცა, კრიტიკის ძირითადი ობიექტი პრეზიდენტი და მოქმედი ხელისუფლებაა. გადაცემის წამყვანი გამოირჩევა არტისტულობით, რითაც ახერხებს შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გარეშე ტონითა და უესტიკულაციით „მიაღწიოს“ შედეგს და უარყოფით ტონში წარმოაჩინოს ხელისუფლება.

5.2.5. ტელეკომპანია „მეცხრე არხი“

ა) საინფორმაციო გამოშვებები

თემის აქტულობის თვალსაზრისით ტელეკომპანია მისაღებ ხარისხს აკმაყოფილებს. თუმცა, პრობლემურია სიზუსტის, მოკლევადიანი მასალების შედეგად სიუჟეტების მომზადება, რომელიც სუსტი ხარისხისაა.

უმთავრესი პრობლემა მაინც ბალანსი და გაშუქების ტონია, რომელთა ხარისხიც მერყეობს სუსტადა და მისაღებს შორის. ასევე, უუნაღისტების (განსაკუთრებით წამყვანების) მიერ სიუჟეტად დაუსაბუთებელი და მიკერძოებული მოსაზრებების წარმოჩენა. მაგალითად, სრულიად გაურკვეველი და დაუსაბუთებელი იყო 1 აგვისტოს არჩევნების დანიშვნის დაკავშირება „ბიძინობის“ დღესასწაულთან. ყოველგვარ გონივრულ საზღვრებს სცდება წამყვანის კომენტარი: „არჩევნებამდე 2 თვით ადრე ფილოსოფოსები პოლიტიკის მისტიფიკაციაზე ალაპარაკდნენ. რატომ იჭრება პოლიტიკაში რელიგიურ-მისტიკური ელემენტები და რა საერთო აქვთ წმინდანებს არჩევნებთან“.

სიუჟეტის ფაქტებით გაუმაყრებლობისა და წყაროების სიმწირის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 30 ივლისის გასული მასალა, რომელიც ეძღვნება ნაციონალური მოძრაობისათვის ხმის მიცემის პირობის ყურანზე დაფიცების ფაქტებს. ამ ფაქტს რამდენიმე რესპოდენტი ადასტურებს. თუმცა, ისინიც გაკონილ ამბავს ჰყვებიან. უუნაღისტი არ ცდილობს იქ „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბის უფროსისგან კომენტარის აღებას, ან იმ პირების მოძიებას, ვინც აფიცებინებდა ან ვისაც პირობა ყურანზე დაადებინეს.

ფაქტებისა და კომენტარების გამიჯვნის ხარისხი მისაღებსა და კარგს შორის მერყეობს. წამყვან ნათია ლაზაშვილის ტექსტები ხშირად შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ის ხელოვნურად ცდილობს სიტუაციის გამწვავებას და სკანდალური ეფექტის მიცემას, მაშინ როდესაც თავად სიუჟეტში საკმაოდ მშვიდად მოგვითხრობენ ამა თუ იმ პრობლემის შესახებ. მაგალითად, „ბეჟაშვილის შემცვლელის ვინაობა ჯერ არ სახელდება, თუმცა ერთადერთი, ვისი კანდიდატურაც მედიაში ვრცელდება ზურაბ ადგიშვილის პროტეჟე ნათია მოგელაძეა, რომელმაც სახელი მოქალაქეების ხუთსაათიანი ჯვარედინი დაკითხვებითა და მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლით გაითქვა“.¹⁰

⁹ ვახტანგ ხმალაძე, რესპუბლიკური პარტიის წევრი და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი. ეკატერინე ხვედელიძე, ბიძინა ივანიშვილის, კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის, მეუღლე.

¹⁰ 23 ივლისის 9 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში წამყვანის მიერ გაკეთებული კომენტარი.

ბალანსი ვერ აღწევს მისაღები ხარისხის ნიშნულს, რადგან მომზადებული სიუჟეტები ძირითად „ქართულ ოცნებას“ და მთავრობას ეხება. ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ პრობლემის გაშუქებისას სიუჟეტის დასასრულს გვეუბნებიან, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები კომენტარს არ აკეთებენ, თუმცა პასუხის მოპოვების მცდელობა არ ჩანს.

მონიტორინგის პერიოდში შეიმჩნევა ბალანსის ფორმალურად დაცვის მცდელობა, რაც ვერ უზრუნველყოფდა რეალურ შინაარსობრივ ბალანსს, პირიქით აძლიერებდა უარყოფით შთაბეჭდილებას ხელისუფლების მიმართ. მაგალითად, 24 ივლისის გადაცემაში მთავრობის ახალი ლობისტების შესახებ პასუხი მთავრობის საპარლამენტო მდივანს, გია ხუროშვილს სთხოვეს, რომელმაც თქვა, რომ ამ საკითხზე უშიშროების საბჭოს უნდა მიმართონ, თუმცა ყურნალისტი უშიშროების საბჭოს აღარ დაკავშირებია. სამხედრო კონტინგენტის გაზრდაზე უმრავლესობის წევრ ნუგზარ წიკლაურს ჰკითხეს¹¹, რომელიც არარეგულაციური წყარო იყო და პასუხი არ ჰქონდა.

ბ) პოლიტიკური თოქ შოუები

საანგარიშო პერიოდში არხზე არსებულ გადაცემა „ახალკაცის მატრიცას“ დაემატა „კონსილიუმი“ და „მთავარი კითხვა“.

„კონსილიუმში“ სტუმრების რანგში ძირითადად სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები არიან მოწვეულნი, რომლებიც მიმდინარე მოვლენებს აფასებენ. ვინაიდან მონიტორინგის პერიოდში თოქ შოუში მონაწილეობა არ მიუღიათ საკვლევ სუბიექტებს, გადაცემა დეტალურად არ შეფასებულა.

„ახალკაცის მატრიცასა“ და „მთავარ კითხვაში“ აქტუალურ თემები იყო „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ წამყვანები ცდილობდნენ გამოეხმაურებოდნენ იმ დღეს მომხდარ მოვლენებს, მათ მთავარ თემად მაინც „ქართული ოცნება“ რჩებოდა.

სტუმრების შერჩევისას არ იყო დაცული ბალანსი.¹² რადგან ორივე თოქ შოუში საკვლევ პერიოდში მხოლოდ „ქართული ოცნება“ ჩანდა. გამოვლინდა მხოლოდ ორი შემთხვევა, როდესაც „მატრიცაში“ „ქართული ოცნების“ გარდა სხვა სუბიექტიც მოიწვიეს. 2 აგვისტოს „ამომრჩეველთა ლიგის“ წარმომადგენელი კოკა გუნცაძე საუბრობდა, 3 აგვისტოს კი „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი გია გაჩეჩილაძე.

„მთავარ კითხვაში“ სტუმრად არ ყოფილა „ქართული ოცნების“ გარდა კვლევის არც ერთი სუბიექტი.

სუსტია გადაცემა „მატრიცის“ წამყვანის მომზადების ხარისხი, რადგან კითხვები ყოველთვის ზოგადია და რესპონდენტის პასუხებიდან გამომდინარეობს. არ აქვს წინასწარ მოძიებული რაიმე დოკუმენტები, სტატისტიკა და საუბარი ხშირად იქით მიდის საითაც რესპონდენტი წაიყვანს.

„მთავარი კითხვის“ წამყვანი მომზადებული იყო, ხშირად ახდენდა გარკვეული ფრაზების ციტირებას, ოპონირებისთვის მოჰქონდა ამონარიდები და ითხოვდა კონკრეტულ პასუხებს.

¹¹ ნუგზარ წიკლაური არის პარლამენტის წევრი ნაციონალური მოძრაობიდან.

¹² შესაძლოა გადაცემის წამყვანები ცდილობდნენ რესპონდენტების მოწვევას და ისინი არ მონაწილეობდნენ, თუმცა, ამის აღნიშვნაც არ ხდება წამყვანების მხრიდან.

წამყვანები არ იყენებდნენ დისკრიმინაციულ ტერმინებს, თუმცა, გადაცემა „მატრიცას“ წამყვანი ეპიტეტების გამოყენებით ამჟღავნებდა მიკერძოებულ პოზიციას. მაგალითად, 1 აგვისტოს გადაცემაში უმრავლესობის წევრი პავლე კუბლაშვილი „პირველ მერცხლად“ მოიხსენია და შემდეგ გააკეთა კომენტარი, რომ „ერთ მერცხალს, როგორც ცნობილია, არჩევნებში გამარჯვება ვერ მოაქვს, ამიტომ პირველს სულ მალე მერცხლების მთელი დესანტი შეუერთდება - დღეიდან პალიკო მართო აღარ არის, აღმასრულებელი ხელისუფლება სრული შემადგენლობით მოეფინება იმერეთის მთაბარს და პრობლემებს ადგილზევე გადაწყვეტს.“

5.2.6. ტელეკომპანია „კავკასია“

ა) საინფორმაციო გამოშვებები

მისაღებ ხარისხს აღემატება საინფორმაციო გამოშვებებში ფაქტების მოკვლევის მცდელობა, ასევე, წყაროების მრავალფეროვნება და იდენტიფიცირება. სიახლის ხარისხითა და თემების აქტუალობით მიღებული შედეგი კარგს აჭარბებს, თუმცა, ასეთი მაღალ შეფასებას არ იმსახურებს სიუჟეტების დაბალანსებულობა და გაშუქების ტონი.

საინფორმაციო გამოშვებებში სიუჟეტების განლაგება არ არის რელევანტური. მნიშვნელოვანი სიუჟეტები გამოშვების ბოლოსკენ გადის ეთერში. მაგალითად, 23 ივლისის 19:00-საათიანი გამოშვებაში წყალდიდობით დაზარალებული კახეთისთვის თანხების გამოყოფა მე-3, მე-4 და მე-8 სიუჟეტებად გავიდა. პირველი ორი სიუჟეტი კი, „ამნესტი ინტერნეიშენალის“ დასკვნასა და თანამდებობიდან ლევან ბეჟაშვილის წასვლას ეხებოდა¹³.

ბ) პოლიტიკური თოქ-შოუები

არხი დატვირთულია პოლიტიკური თოქ-შოუებით. პრაიმ-ტაიმში გადის 4 პოლიტიკური თოქ-შოუ. თემის აქტუალობის თვალსაზრისით გადაცემები აღემატება კარგ ხარისხს. მაგალითად, „ცხელმა ხაზმა“ ოპერატიულად მიუძღვნა გადაცემა სტიქიით დაზარალებული კახეთის რეაბილიტაციისა და სარეზერვო ფონდების ხარჯვის საკითხს, მომზადდა შესაბამისი სიუჟეტები.

ძირითადად, სტუმრები თემების შესაბამისებად იყვნენ შერჩეული, თუმცა, იყო შემთხვევები, როცა სტუმარი ვერ ჯდებოდა გადაცემის ფორმატში. მაგალითად, „ცხელ ხაზში“, რომელიც დაზარალებული კახეთის რეაბილიტაციას ეხებოდა (23 ივლისი), მიწვეული იყო პარლამენტარი გიორგი როინიშვილი, რომელიც ამ საკითხში კომპეტენტური არ იყო. ამასთან, წამყვანების მხრიდან არ აღნიშნულა, რომ უფრო კომპეტენტურმა პირმა სტუმრობაზე უარი უთხრა. სხვა შემთხვევებში, წამყვანები ხშირად აღნიშნავენ, რომ უარს იღებენ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მათთან სტუმრობაზე.

წამყვანების მომზადების ხარისხი კარგს უახლოვდება. თუმცა, პრობლემები გამოვლინდა ურუნალისტის ენასა და კითხვების რელევანტურობაში გადაცემა „სპექტრის“ წამყვანის საქმიანობისას. შუა საუბრისას, წამყვანი აბსოლუტურად სხვა საკითხებზე გადადიოდა. მაგალითად,

¹³ აღსანიშნავია, რომ ლევან ბეჟაშვილის თანამდებობიდან წასვლა განპირობებული იყო კახეთში მომხდარი სტიქიური უბედურებით.

27 ივლისის „სპექტრის“ მეორე ბლოკში, როცა კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრთან, ლევან იზორიასთან საუბარი მასზე განხორციელებულ თვალთვალზე მიმდინარეობდა, წამყვანი, მოულოდნელად, სამეგრელოს უხვმოსავლიანობასა და შესაძლებლობაზე ალაპარაკდა და სტუმარს ამაზე საკუთარი აზრის გამოთქმა სთხოვა. არხის თოქ-შოუების წამყვანების მიერ ბალანსის დაცვის ხარისხის დაბალი შეფასება გამოწვეულია გადაცემა „სპექტრის“ წამყვანის შეფასებით, რადგან წამყვანი არ იცავს ეთიკურ ნორმებს, ამკარად და დაუფარავად ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას კონკრეტული ფიგურების მიმართ და ჟურნალისტიკისთვის შეუფერებელ კომენტარებს აკეთებს. მაგალითად: 2012 წლის 26 ივლისს: „იცი, რა მამაძაღლოებით გადის ფონს ეს ხელისუფლება; ეს ბოროტების სისტემა როგორმე უნდა დაიქცეს, ეს ნასუქი ქალები მერსედესებში რომ ისხდნენ ყველა უბანში, ვანოს მოადგილე რომ იყო, ახალციხელი ტიპი, ის ყოფილა ამ სიბინძურების დიდოსტატი“;

5.3. რეგიონული ტელეკომპანიები

5.3.1 ტელეკომპანია „აჭარა“

ა) საინფორმაციო გამოშვებები

თემის აქტუალობისა და სიახლის ხარისხის მიხედვით არხის საქმიანობა მისაღებ ხარისხს აკმაყოფილებს. თუმცა, ჟურნალისტიკის დანტერესებას მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აქტივობები იწვევდა. მონიტორინგის მეორე პერიოდში არ გასულა არც ერთი სიუჟეტი, რომელიც რაიმე პრობლემას ეხებოდა.

„აჭარა“ ხშირად მომხდარ ამბავში ყველზე უმნიშვნელო დეტალებს აქცევდა ყურადღებას. ამის მაგალითია 27 ივლისის საინფორმაციო გამოშვების ეთერში გასული სიუჟეტი, რომელიც ბათუმის საკრებულოში გამართულ სხდომას ეძღვნებოდა. საკრებულოს წევრთა კომენტარებში აქცენტი გაკეთდა ქანდაკებებისთვის გამოყოფილ თანხებზე და იმაზე, რომ "დადგინდა დაკრძალვის თვითღირებულება". გაუგებარი დარჩა, რას ნიშნავს დაკრძალვის თვითღირებულება რატომ იყო მისი დადგენა ასეთი მნიშვნელოვანი, ან როგორ დაადგინეს.

სიუჟეტები ფაქტებზე დაყრდნობით იყო მომზადებული, თუმცა, არ გამოიყენებოდა მოკვლევითი მასალები. მისაღები ხარისხით ხდებოდა ფაქტებისა და კომენტარების გამიჯვნა. გამოვლინდა გამონაკლისები, როცა ჟურნალისტები მთავრობის დაპირებებს წარმოაჩენდნენ ფაქტებად. მაგალითად, „მაღლე ეზოც კეთილმოეწყობა და დამატებითი ატრაქციონები დაიდგმება“.

მიუხედავად იმისა, რომ ბალანსი აკმაყოფილებს მისაღებ კრიტერიუმს, დაუბალანსებლობის პრობლემამ თავი იჩინა როდესაც სიუჟეტი ბათუმში ქართული ოცნების გასამართ აქციას შეეხო, სხვა ტელეკომპანიებმა თქვეს, რომ კოალიციას ერას მოედანზე აქციის ჩატარების უფლება არ მისცა მერიამ, „აჭარამ“ კი განცხადა, რომ ბათუმის მერია აქციის ჩატარებას ანგისის სტადიონზე სთავაზობს. არ ყოფილა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა პასუხი, უნდოდათ თუ არა მათ ამ სტადიონზე აქციის ჩატარება და საერთოდ რა პრობლემა შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ დადებითი ტონით შექცდებოდა პრეზიდენტის, მთავრობის და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობა, ხოლო უარყოფითით - „ქართული ოცნების“. მაგალითად 23 ივლისის 10 წუთის განმავლობაში გვიყვებოდნენ კახეთში სტიქიის შემდეგ პრეზიდენტის ვიზიტზე, გვაჩვენეს როგორ დაესწრო წირვას, სადაც სიტყვით გამოვიდა და თქვა როგორ დაეხმარება დაზარალებულებს.

მონიტორინგის სხვა სუბიექტები თითქმის არ გაშუქებულა. მცირე დრო დაუთმეს „ქრისტიან დემოკრატებს“, „თავისუფალ საქართველოს“, „ახალ მემარჯვენეებს“ და „ეროვნულ დემოკრატებს“. ეს სუბიექტები ნეიტრალურ ტონში გააშუქეს. მათ შესახებ მასალა 22:30 საათიან გამოშვებაში არასდროს გასულა.

სუსტი მაჩვენებელი აქვს საერთო შთაბეჭდილებასა და დასკვნით ნაწილში. ჟურნალისტები სიუჟეტს ძირითადად დაპირებებით ამთავრებდნენ, რომ რეაბილიტაცია კვლავ გაგრძელდება, ინოვაციები დაინერგება.

5.3.2. ტელეკომპანია „25-ე არხი“

ა) საინფორმაციო გამოშვებები

თემის აქტუალობის, სიუჟეტის სიახლის, წყაროთა იდენტიფიცირების, ფაქტებისა და კომენტარების გამიჯვნის თვალსაზრისით, არხი უახლოვდება კარგ კრიტერიუმს. მნიშვნელოვანია, რომ ის ამავე ხარისხით, იყენებს მრავალფეროვან მეთოდოლოგიას და ახერხებს მისაღები საერთო შთაბეჭდილების შექმნას. არხი ძირითადად აქცენტირებულია ადგილობრივი მნიშვნელობის თემებზე. მეტ ყურადღებას ბათუმსა და აჭარაში მოსახლეობის სოციალური და სხვა ტიპის პრობლემების გაშუქებას უთმობს.

გამოხატული პრობლემა, მოკვლევითი, გამოძიების ელემენტებით გაჯერებული სიუჟეტების არ არსებობა, ყველა სიუჟეტი მხოლოდ ამბის ზოგადად გაშუქებას ახდენდა.

არხის დაბალანსების ხარისხის ძალზე ახლოსაა კარგთან. თითქმის ყველა სიუჟეტში ჰყავთ ყველა მხარე, როგორც ხელისუფლება ასევე ოპოზიცია. არ აშუქებენ ამბავს მიკერძოებულად და ცალმხრივად.

საანგარიშო პერიოდში არხს არ ჰქონდა თოქ-შოუები და გასართობი გადაცემები.

5.3.3. ტელეკომპანია „რიონი“

ა) საინფორმაციო გამოშვებები

ტელეკომპანია „რიონი ტვ“ ძირითადად აშუქებდა ადგილობრივ სიახლეებს, სწორედ ამიტომ მან მისაღები ხარისხის შეფასება მიიღო. იყო შემთხვევები, როდესაც არ შუქდებოდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც საქართველოს სხვა რეგიონში ხდებოდა. მასალების ფაქტებზე დაყრდნობის თვალსაზრისით ტელეკომპანია მისაღებს ხარისხს აკმაყოფილებს, თუმცა, ნაკლებად არის წარმოდგენილი მოკვლევითი შინაარსის მასალები. ახალი ამბების გამოშვებები ძირითადად შემოიფარგლებოდა ფაქტების ზედაპირული გაშუქებით.

გამონაკლისია ყოველკვირეული პროგრამა „მრავალკუთხედი“, სადაც რეპორტაჟების აბსოლუტური უმრავლესობა მოკვლევითი ხასიათისაა. გარდა სიღრმისეული გაშუქებისა, „მრავალკუთხედი“ სხვა პროგრამებისგან გამოირჩეოდა იმითაც რომ ის აშუქებდა მნიშვნელოვან მოვლენებს მთელი საქართველოს მასშტაბით და არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ადგილობრივი თემატიკის გაშუქებით.

წყაროთა ბალანსი რეპორტაჟებში სუსტი ხარისხით არის დაცული. რეპორტაჟებზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეპორტაჟები ნაკლებად დაბალანსებული იყო იმ მიზეზით რომ ნაკლები იყო მოკვლევის ხარისხი. უმეტეს შემთხვევებში ახალ ამბებზე კომენტარს აკეთებდნენ პირები რომლებსაც უშუალოდ ეხებოდათ გაშუქებული მოვლენა; არ ხდებოდა საპირისპირო აზრის მოკვლევა და შეასაბამისად, წყაროთა ბალანსიც უმეტეს შემთხვევებში არ იყო სათანადოდ დაცული.

ბ) პოლიტიკური თოქ-შოუ

მონიტორინგის პერიოდში ეთერში გადიოდა თოქ-შოუს სტილის ორი პროგრამა - „თქვენი პარლამენტი“ და „თემა“. ორივე პროგრამა უძღვნიდა დებატებს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებს. დებატებში განხილვის საგნად გვხვდებოდა როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური საკითხები; აგრეთვე განიხილებოდა წინასაარჩევნო საკითხებიც.

მონვეული სტუმრები რელევანტურად იყვნენ შერჩეული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროგრამა „თქვენი პარლამენტი“, სადაც ტელე-დებატებში მონაწილეობის მისაღებად ხშირად იყვნენ მონვეულნი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი პოლიტიკური პარტიების ლიდერები (გიორგი თარგამაძე, პავლე კუბლაშვილი, ა.შ.)

პროგრამა „თემა“ ნაკლებად იყო დაბალანსებული მონვეული სტუმრების შერჩევის თვალსაზრისით. ამ პროგრამაში იშვიათად გვხვდებოდა განსხვავებული მოსაზრების ადამიანთა დაპირისპირება.

წამყვანები მაღალ დონეზე იყვნენ მომზადებული დებატებისთვის. სტუმრების მიმართ შეკითხვები ძირითადად რელევანტური იყო და ასევე, გასაგებადაც იყო დასმული. გამორჩეულად უნდა აღინიშნოს პროგრამა „თემას“ წამყვანი ხატია ბაბუნაშვილი, რომელსაც ეტყობოდა დებატებისთვის კარგად მომზადება და განსახილველი საკითხის კარგად ცოდნა. დროს ძირითადად თანაბრად და სამართლიანად ანაწილებდნენ სტუმრებს შორის. პროგრამებზე დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჟურნალისტები არ გამოხატავდნენ მიკერძოებულობას ან რაიმე სიმპათიებს ამა თუ იმ სტუმრის მიმართ.

5.3.4. ტელეკომპანია „მეგა ტვ“

ა) საინფორმაციო გამოშვებები

ტელეკომპანია საინფორმაციო გამოშვებებს უშვებს კვირაში ორჯერ: პარასკევსა და კვირას. სხვა დროს მონიტორინგისათვის საინტერესო მასალები ეთერში არ გადიოდა.

თემის აქტუალობის თვალსაზრისით ტელეკომპანიის საქმიანობა აკმაყოფილებს მისაღებ ხარისხს. თუმცა, ეს შეფასება განპირობებულია ადგილობრივი თემატიკის გაშუქებით. ხაზგასასმელია, რომ არხს არ გაუშუქებია ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიც იყო სტიქიით დაზარალებული კახეთის მოსახლეობა, „მაესტროს“ სატელეტიური თეფშების დაყალების ფაქტი და ა.შ.

ტელეკომპანია პრაქტიკულად არ ამზადებს მოკვლევით სიუჟეტებს, არ იყენებს ვიზუალიზაციის საშუალებებს. მისაღებს ხარისხს ვერ აღწევს ბალანსის, ფაქტებისა და კომენტარების გამოჭვნის დონე.

6. დასკვნა/რეკომენდაციები

მონიტორინგის მეორე ეტაპზე გამოიკვეთა, რომ საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ტელეკომპანიების საქმიანობაზე. პრობლემად დარჩა დაუბალანსებლობის თემა. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტსა და მთავრობას, საინფორმაციო გამოშვებებში, უჩვეულოდ დიდი დრო ეთმობა, ამავდროულად კვლავ შექცევა ისეთი აქტივობები, რაც არ შედის მათი კომპეტენციის სფეროში და ატარებს ფარული წინასაარჩევნო კამპანიის ხასიათს. მნიშვნელოვანია, რომ ტელეკომპანიებმა არ შეუწყონ ხელი მითითებული სუბიექტების ისედაც უპირატესი მდგომარეობის ხაზგასმას. საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის საქმიანობა, როგორც სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების, მუდმივად არის მედიის ინტერესის სფერო. ამ ფონზე, მათთვის დამატებითი დროის გამოყოფა, ისეთი აქტივობების გაშუქების მიზნით, რომელიც არ შედის პრეზიდენტისა და მთავრობის პირდაპირი უფლებამოსილების ფარგლებში, სრულიად არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს. აღნიშნული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ტელეკომპანიების გაშუქების ტონიც, რაც განსხვავდება ტელეკომპანიების მიხედვით. ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ არხის შეფასების შედეგი.

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობა უნდა შეფასდეს როგორც „კარგ ხარისხს“, მიახლოებული. მიუხედავად ამისა, პრობლემად რჩება საინფორმაციო გამოშვებებში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტებისათვის არარელევანტურად დიდი საეთერო დროის დათმობა. მნიშვნელოვანია, რომ არხმა შეცვალოს არსებული სტრატეგია.

2. „რუსთავი 2“-ის საქმიანობა, პრაქტიკულად უცვლელია, რომლის ზოგადი შეფასება მისაღებ კრიტერიუმს არის მიახლოებული (გამონაკლისია წყაროების იდენტიფიცირება), თუმცა საგრძნობლად დაბალი მაჩვენებელი აქვს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტში – ბალანსი. შესაბამისად, აუცილებელია, წინასაარჩევნო პერიოდში ტელეკომპანიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ბალანსის თემასა და გაშუქების ტონს, სასურველია ის იყოს ნეიტრალური მონიტორინგის ყველა სუბიექტის მიმართ. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე და არა მთავრობის დაპირებებზე.

3. „იმედის“ მაჩვენებლები ძალზე უახლოვდება „რუსთავი 2“-ის შედეგებს. მიუხედავად იმისა, რომ ბალანსის თვალსაზრისით ის მისაღებ კრიტერიუმს აკმაყოფილებს, ტელეკომპანიამ სიუჟეტების მომზადების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მოკვლევითი მასალების არსებობას, ბალანსის ხარისხის გაუმჯობესებას, სუბიექტების ნეიტრალური ტონით გაშუქებას, პრობლემების აქცენტირებას და მათი გადაჭრის გზების ჩვენებას. უურნალისტებმა უნდა მოახერხონ ფაქტებისა და შეფასებების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

4. „რეალ ტვ“ წინა შედეგების შესაბამისად, გამოირჩევა ყველაზე დაბალი შეფასებით. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ არხმა ყურადღება გაამახვილოს საინფორმაციო გამოშვებაში დასაქმებული უურნალისტების მიკერძოებულ კომენტარებზე. ნეიტრალური ტონით გააშუქოს ყველა სუბიექტი, ამავდროულად, თანაბარი დრო დაუთმოს თითოეულ მათგანს.

5. „მანსტროს“ საქმიანობის ხარისხი უახლოვდება კარგ კრიტერიუმს, თუმცა სასურველია არხმა ყურადღება გაამახვილოს რესპონდენტების ადეკვატურად შერჩევის ხარისხზე. ასევე, პოლიტიკური თოქ-შოების წამაყვანების მიერ შეკითხვების მიუკერძოებლად დასმაზე.

6. „მეცხრე არხის“ საქმიანობა აკმაყოფილებს მისაღებ ხარისხს, თუმცა პრობლემად რჩება ისეთი ტერმინის გამოყენება, როგორცაა „გავრცელებული ინფორმაციით“. აუცილებელია, მინიმუმადე იქნეს დაყვანილი როგორც საინფორმაციო, ასევე, პოლიტიკური თოქ-შოების

წამყვანების სუბიექტური შეფასებები. არხის მიუკერძოებლობის ხარისხის ამოღებას ხელს შეუწყობს გადაცემა „მატრიცაში“ ბალანსის თემაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება.

7. „კავკასიის“ საინფორმაციო გამოშვებები მოკვლევითი მასალებისა და წყაროების იდენტიფიცირების ხარვეზების მიუხედავად, გამოირჩევა დაბალანსებულობის მაღალი ხარისხით. თუმცა, მთლიანობაში არხის მიუკერძოებლობას კვლავინდებურად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პოლიტიკური თოქ-შოუები და განსაკუთრებით მათი წამყვანები. სასურველია, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს და მაქსიმალურად აღმოიფხვრას წამყვანთა მიკერძოებული შეფასებები, სტერეოტიპული გამონათქვამები.

8. ტელეკომპანია „აჭარის“ საქმიანობა შეიძლება შეფასდეს სუსტსა და მისაღებს ხარისხს შორის მერყევად. თუმცა, შეფასება სუსტისკენ უფრო მეტად იხრება ისეთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმის შესწავლისას, როგორც არის ბალანსის დაცვა. ამასთან, სასურველია არხმა მეტი ყურადღება დაუთმოს პოლიტიკურ პარტიებს და ნეიტრალურად წარმოაჩინოს მათი საარჩევნო სტრატეგია, ანუ პროპორციულად გადაანაწილოს დრო ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების აქტივობების გაშუქებასა და სხვა პოლიტიკურ პარტიებს შორის.

9. „25-ე არხი“ აკმაყოფილებს კარგი ხარისხისათვის დადგენილ კრიტერიუმებს. თუმცა, სასურველია ყურადღება გამახვილდეს ფაქტების მეტი სიზუსტით გადმოცემის საკითხზე, მოკვლევითი მასალების მომზადებაზე და ასევე, მეტი დრო დაეთმოს პოლიტიკურ სუბიექტებს.

10. „რიონის“ შეფასება მერყეობს სუსტსა და მისაღებს ხარისხს შორის. კვლავინდებურად, კარგი იქნება, მეტი ყურადღება დაეთმოს კადრებისა და ტექსტის შესაბამისობას, ასევე, ბალანსის დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას.

11. მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის მეორე ეტაპზე „მეგა ტვ“-ის საინფორმაციო გადაცემას კიდევ დაემატა კვირის საინფორმაციო გამოშვება, არხის სრულყოფილი შეფასება პრაქტიკულად კვლავ შეუძლებელია არხზე საინფორმაციო გამოშვებების სიმწირის გამო. შესაბამისად, უმჯობესი იქნება წინასაარჩევნო პერიოდში არხმა მეტი საეთერო დრო გამოეყოს საინფორმაციო გამოშვებებისა და წინასაარჩევნო დებატებისათვის.